საქართველოს მთავრობის
დადგენილება
N 36 2008 წლის 22 თებერვალი ქ. თბილისი

განსაკუთრებით საშიში ინფექციების გამომწვევთა აღმოჩენის, ეპიდზედამხედველობისა და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიული სისტემის შექმნის შესახებ

"საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე:

1. საქართველოში განსაკუთრებით საშიში ინფექციების გამომწვევთა აღმოჩენის, ეპიდზედამხედველობისა და რეაგირების მიზნით შეიქმნას ერთიანი ლაბორატორიული სისტემა. *(30.07.2008 N160)*

2. ერთიანი ლაბორატორიული სისტემა მოიცავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და სსიპ – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიას. *(30.07.2008 N160)*

3. საქართველოში განსაკუთრებით საშიში ინფექციების გამომწვევთა აღმოჩენის, ეპიდზედამხედველობისა და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიული სისტემის მართვასა და კოორდინაციას ახორციელებს განსაკუთრებით საშიში ინფექციების გამომწვევთა აღმოჩენის, ეპიდზედამხედველობისა და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიული სისტემის მართვის საკოორდინაციო საბჭო. *(30.07.2008 N160)*

4. ერთიან ლაბორატორიულ სისტემაში შემავალმა ლაბორატორიებმა, კომპეტენციის ფარგლებში, რეგულარულად მიაწოდონ ინფორმაცია განსაკუთრებით საშიში ინფექციების გამომწვევთა აღმოჩენის, ეპიდზედამხედველობისა და რეაგირე-ბის ერთიანი ლაბორატორიული სისტემის მართვის საკოორდინაციო საბჭოს. *(30.07.2008 N160)*

5. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ (ე. შარაშიძე) ბიოლოგიური უსაფრთხოების სხვადასხვა დონის ლაბორატორიული ქსელის შესაქმნელად სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს წინადადებების გათვალისწინებით გადასცეს: *(30.07.2008 N160)*

ა) "საზოგადოებრივი ჯანდაცვის იმერეთის სამხარეო ცენტრის" შესაბამისი ქონება;

ბ) ცენტრალური საცნობარო ლაბორატორიის მშენებარე ობიექტი მიწის

ფართობთან ერთად;

გ) შესაბამისი ფართობი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ლაბორატორიული ქსელის მოსაწყობად.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განსაკუთრებით საშიში ინფექციების გამომწვევთა აღმოჩენის, ეპიდზედამხედველობისა და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 15 ნოემბრის N253 დადგენილება.

7. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი *ვლადიმერ გურგენიძე*